

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „აისი“

წესრიგის დაცვის და შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „აისი“ (შემდგომში - „კოლეჯი“) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის და შრომის უსაფრთხო გარემოს შექმნის წესი არეგულირებს კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა და დასაქმებულთა მიერ წესრიგის დაცვის და შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმებს.

მუხლი 2. უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა

2.1 კოლეჯის თანამშრომელი ვალდებულია დაიცვას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შრომისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მოთხოვნები, ხოლო კოლეჯი ვალდებულია უზრუნველყოს თანამშრომლები სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის მაქსიმალურად უსაფრთხო გარემოთი და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით.

მუხლი 3. კოლეჯის წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვა

3.1 კოლეჯი აღჭურვილია თანამედროვე ვიდეოსათვალთვალო კამერებით შენობასა და ეზოში. დამონტაჟებულია 34 ერთეული ვიდეო სათვალთვალო კამერა, (მათ შორის 7 ერთეული - გარე გამოყენების და 27 ერთეული შიდა გამოყენების).

3.2 კოლეჯში დასაქმებულ პირებს აქვთ ელექტრონული დაშვების პლასტიკური ბარათები, რის საშუალებითაც ფიქსირდება კოლეჯში მათი შესვლისა და გასვლის დრო.

მუხლი 4. დარაჯი

4.1 საშტატო განრიგის შესაბამისად, კოლეჯის სადღეღამისო ცვლაში დასაქმებული დარაჯი უზრუნველყოფს აღნიშნული მექანიზმების გამოყენებით კოლეჯში წესრიგის დაცვას.

4.2. დარაჯის უფლებები და მოვალეობები:

ა) კოლეჯში განთავსებული მატერიალური ფასეულობების (ქონების) დაცვის უზრუნველყოფა, ყველა აუცილებელი და შესაძლო ზომის გამოყენება მათი დაზიანების/განადგურების თავიდან ასაცილებლად;

გ) პროფესიულ სტუდენტთა და დასაქმებულ პირთა გარდა, სხვა პირთა კოლეჯის ტერიტორიაზე შემოშვება მხოლოდ კოლეჯის ადმინისტრაციის ნებართვით;

დ) კოლეჯის ტერიტორიაზე (შენობა, ეზო) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა;

ე) წესრიგის დარღვევის, ავარიული ან/და სხვა საგანგებო მდგომარეობის შექმნისას დაწესებულების დირექტორისათვის ან/და დირექციის სხვა წარმომადგენლისათვის ინფორმაციის დაუყოვნებლივ მიწოდება, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში ამ უკანასკნელთან შეთანხმებით საგანგებო სიტუაციების ან/და პოლიციისა და შესაბამისი სამსახურების გამოძახების უზრუნველყოფა;

მუხლი 5. დასკვნითი დებულებანი

5.1. წინამდებარე წესში ცვლილებების და/ან დამატებების შეტანა ხორციელდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით (ბრძანებით)